საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

EMERGENCY MANAGEMENT SERVICE

ES 8 18 00079416

19/11/2018

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
ძველი თბილისის სანებართვო განყოფილების პირველადი
სტრუქტურული ერთეულის მოვალეობის შემსრულებელს
გიორგი მასხულიას

ბატონო გიორგი,

თქვენი 2018 წლის 16 ნოემბრის N60-01183203835 წერილის (სამსახურში რეგისტრაციის თარიღი 16.11.2018; N79130) პასუხად გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სპეციალისტების მიერ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57-ე დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განხილული იქნა ქალაქ თბილისში, როდენის ქუჩა N8, ი.ნიკოლაძის N10-12-14-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.15.03.013.012) ასაშენებელი სასტუმროს შენობის არქიტექტურული პროექტი, სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის ნაწილში.

წარმოდგენილი დაპროექტების დოკუმენტების განხილვის შედაგად დადგინდა, რომ „ტექნიკური რეგლამენტი შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების და „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N52 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად აღიარებული და საქართველოს ტერიტორიაზე დროებით სამოქმედოდ დაშვებული სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელი ნორმების მინიმალური მოთხოვნების გათვალისწინებით, შესამუშავებელია სახანძრო უსაფრთხოების რიგი ღონისძიებები, რომელთა პროექტში რეალიზება საგრძნობლად გაზრდის შენობის ხანძარსაწინააღდეგო დაცვის ხარისხს და უსაფრთხოებას, კერძოდ:

1. დაპროექტების დოკუმენტაციაში, მიწისქვეშა სართულის -3.20 ნიშნულზე, „3-5“ ღერძებში მოცემული ლიფტების შახტებში შესასვლელთან გათვალისწინდეს ტამბურ-რაბების მოწყობა, ხანძრის შემთხვევაში ჰაერის დაწნევით. ტამბურ-რაბების მღობავი კონსტრუქციების ცეცხლმედეგობა მიღებული იქნეს არანაკლებ 45 წუთის, ხოლო ტამბურ-რაბებში მოწყობილი კარების ცეცხლმედეგობა - არანაკლებ 30 წუთის;

საფუძველი: ტექნიკური რეგლამენტი -123 მუხლი 88 ;პუნქტი 20;

2. ვინაიდან დაპროექტების დოკუმენტაცაში გაურკვეველია კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემების არსებობა, ავტოსადგომში და სასტუმროს დერეფნებში გასათვალისწინდეს კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობა;

საფუძველი: SP 7.13130.2013 პუნქტი 7.2 „ვ“ ,“ზ“;

3. დაპროექტების დოკუმენტაციაში მიწისქვეშა სართულზე მოცემული ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემების სატუმბო სადგურის სათავსოს განთავსება გათვალისწინდეს, SP 5.13130.2009 პუნქტი 5.10.10-ის მოთხოვნის დაცვით;

4. ვინაიდან დაპროექტების დოკუმენტაციაში გაურკვეველია შენობის სათადარიგო ელექტრომომარაგების საკითხი, ამიტომ გათვალისწინდეს, რომ თუ მოხდება შენობის რომელიმე სათავსოში გენერატორის განთავსება დაცული უნდა იქნეს SP 4.13130.2013 პუნქტი 6.9.18-ის მოთხოვნა;

5. ვინაიდან წარმოდგენილი დაპროექტების დოკუმენტაციის მიხედვით სასტუმროს შენობის დერეფნების სიგრძე აღემატება 60 მერტს, გათვალისწინდეს მისი დაყოფა მეორე ტიპის 15 წუთიანი ცეცხლმედეგი გადატიხვრებით და გადატიხვრებში გათვალისწინებული კარების ცეცხლმედეგობაც არ უნდა იყოს 15 წუთზე ნაკლები. (დერეფნების სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 60 მეტრს)

საფუძველი: SP1.13130.2009 პუნქტი 4.3.3

6. „ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ 403.5.4; 1022.10 ქვეპუნქტების თანახმად, დაპროექტების დოკუმენტაციაში მოცემული ჩვეულებრივი კიბის უჯრედის ნაცვლად გათვალისწინდეს დაუკვამლიანებელი კიბის უჯრედის მოწყობა, რომლის დაუკვამლიანობა მიიღწევა ჰაერის დაწნევის სისტემების მოწყობის გზით;

7. ვინაიდან შენობის კიბის უჯრედებში გათვალისწინებულია ჰაერის დაწნევის სისტემების მოწყობა, SP 10.13130.2009 პუნქტი 4.1.16-ის თანახმად, შენობა-ნაგებობის დაუკვამლიანებელ კიბის უჯრედებში სახანძრო ონკანების მოწყობა დაუშვებელია;

8. მიწისქვეშა ავტოსადგომში, გათვალისწინდეს ადამიანთა მაუწყებლობის, ევაკუაციის მართვის სისტემების და საევაკუაციო განათებების მოწყობა.

საფუძველი: SP 154.13130.2013 პუნქტი 6.4.3 ; 6.4.4; 6.5.5; 6.5.6

9. სასტუმროს შენობის საევაკუაციო გზებზე გათვალისწინდეს ადამიანთა მაუწყებლობისა და საევაკუაციო განათებების მოწყობა.

საფუძველი: SP52..13330.2016 პუნქტი 7.6.3 ; SP 3.13130.2009 ცხრილი 2 პუნქტი 4;

10. ვინაიდან შენობაში მოსაწყობი კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის, ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის, ევაკუაციის მართვის და საევაკუაციო განათებების სისტემების ავტომატურ რეჟიმში მოქმედებაში მოყვანა ხორციელდება სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის საშუალებით, სასტუმროს შენობაში საჭირო ხდება ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის აუცილებლობა.

საფუძველი: SP 5.13130.2009 პუნქტი 14.1

11.ვინაიდან დაპროექტების წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები განიხილება ტექნიკური სქემების დონეზე (და არა ამ

სისტემების მოწყობისათვის შესაბამისი პროექტის შემუშავებით) აუცილებელია შემუშავებული იქნას ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების სრული პროექტები და წარმოდგენილი იქნას განსახილველად, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელების მოწყობის პროექტი;

ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელების მოწყობის პროექტი;

გ) შენობის ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტი;

დ) შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობის პროექტი;

ე) შენობის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობის პროექტი;

ვ) შენობის ხანძრის შესახებ შეტყობინებისა და ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების მოწყობის პროექტი;

ზ) შენობის გათბობა-ვენტილაციის სისტემის მოწყობის პროექტი;

თ) შენობის ელექტროდანადგარებისა და მეხდაცვის სისტემების მოწყობის პროექტი;

გაცნობებთ რა ზემოთ აღნიშნულს, წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით უზრუნველყოფილი უნდა იქნას შენობის პროექტში სათანადო ცვლილებების და დამატებების შეტანა, ხოლო კორექტირებული სამშენებლო დოკუმენტაცია დადგენილი წესის შესაბამისად წარმოდგენილი იქნას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში შემდგომი განხილვისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის თაობაზე სათანადო დასკვნის მოსამზადებლად.

პატივისცემით,

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
თალაკვაძე ზურაბი